<u>**პროექტი**</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საჰაერო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №27-28/4, 21 ნოემბერი, 1996, გვ. 69) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ[32]–ჰ[34]“ ქვეპუნქტები:

„ჰ[32]) კეიპტაუნის კონვენცია - „საავიაციო ობიექტებთან დაკავშირებით მოძრავი მოწყობილობების მიმართ საერთაშორისო გარანტიების შესახებ“ კეიპტაუნის 2001 წლის კონვენცია, რომელიც აერთიანებს „მოძრავი მოწყობილობების მიმართ საერთაშორისო გარანტიების შესახებ“ კონვენციასა და „მოძრავი მოწყობილობების მიმართ საერთაშორისო გარანტიების შესახებ“ კონვენციის ოქმს „საავიაციო მოწყობილობების თაობაზე;

ჰ[33]) საავიაციო ობიექტი - კეიპტაუნის კონვენციით განსაზღვრული ობიექტი, რომელიც გულისხმობს სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ფიუზელაჟს, სამოქალაქო შვეულმფრენს ან საავიაციო ძრავს, რომლებიც აკმაყოფილებს ამავე კონვენციით დადგენილ კრიტერიუმებს;

ჰ[34]) IDERA - „მოძრავი მოწყობილობების მიმართ საერთაშორისო გარანტიების შესახებ“ კონვენციის ოქმის „საავიაციო მოწყობილობების თაობაზე“ XIII მუხლით განსაზღვრული რეესტრიდან ამოღებისა და ექსპორტის გამოუხმობადი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (შემდგომში - IDERA-ს დოკუმენტი).“.

2. 9[1] მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემთხვევაში ჩერდება სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის მოქმედება, გარდა იმ სამართლებრივი აქტისა, რომელიც გამოცემულია „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, მისი დანართების ან/და სამოქალაქო ავიაციის სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დარღვევის გამო, რამაც საფრთხე შეუქმნა ფრენის უსაფრთხოებას ან/და საავიაციო უშიშროებას ან რასაც შეეძლო ასეთი საფრთხის შექმნა, აგრეთვე კეიპტაუნის კონვენციიდან გამომდინარე სააგენტოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტისა.“.

3. მე-14 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის წესს, ნორმატიული აქტით, ამტკიცებს სააგენტო.“.

4. 23-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ[1]) კეიპტაუნის კონვენციით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში;“.

5. 28-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 28[1]-28[2] მუხლები:

„მუხლი 28[1]. საავიაციო ობიექტებთან დაკავშირებული საერთაშორისო ინტერესის საერთაშორისო რეესტრში რეგისტრაცია

1. საავიაციო ობიექტებთან დაკავშირებით არსებული კეიპტაუნის კონვენციით განსაზღვრული საერთაშორისო ინტერესის (ქონებრივი უფლება) რეგისტრაცია, ამავე კონვენციით გათვალისწინებულ საერთაშორისო რეესტრში, უნდა განხორციელდეს სააგენტოს მიერ გაცემული სპეციალური ელექტრონული კოდის გამოყენებით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ იმ საავიაციო ობიექტებთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო ინტერესის რეგისტრაციის მიმართ, რომლებიც შეტანილია საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში ან რომელთა სამომავლო რეგისტრაციაზეც ამავე რეესტრში თანხმდებიან კეიპტაუნის კონვენციით განსაზღვრული შეთანხმების მხარეები.

3. კეიპტაუნის კონვენციით განსაზღვრული ელექტრონული კოდის გაცემის წესს ადგენს სააგენტო.

მუხლი 28[2]. კეიპტაუნის კონვენციით გათვალისწინებული საავიაციო ობიექტის საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღება და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა.

1. კეიპტაუნის კონვენციით გათვალისწინებული დეფოლტის არსებობისას, სააგენტო უზრუნველყოფს საავიაციო ობიექტის საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებას IDERA-ს დოკუმენტის საფუძველზე, ან თუ არსებობს სასამართლოს ბრძანება საავიაციო ობიექტის საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების, როგორც კეიპტაუნის კონვენციით გათვალისწინებული უფლების დაცვის დროებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე, აღნიშნული დოკუმენტის კეიპტაუნის კონვენციით გათვალისწინებული კრედიტორის მიერ წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

2. IDERA-ს დოკუმენტი საავიაციო ობიექტის საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების საფუძველია:

ა) თუ იგი რეგისტრირებულია სააგენტოში, სააგენტოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) თუ კეიპტაუნის კონვენციით გათვალისწინებული კრედიტორი, რომლის მიმართაც გაცემულია აღნიშნული დოკუმენტი, წარადგენს მტკიცებულებას, რომლითაც დასტურდება, რომ საავიაციო ობიექტთან დაკავშირებით მას გააჩნია უპირატესი საერთაშორისო ინტერესი, ან ასეთი უპირატესი საერთაშორისო ინტერესის მფლობელს გაცემული აქვს თანხმობა საავიაციო ობიექტის საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანაზე.

3. დაუშვებელია საავიაციო ობიექტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის ხელშეშლა იმ საფუძვლით, რომ კეიპტაუნის კონვენციით გათვალისწინებულ კრედიტორს მესამე პირთა წინაშე აკისრია ვადამოსული ვალდებულებები.“.

მუხლი 2.

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ 2026 წლის 1 აგვისტომდე უზრუნველყოს:

ა) კეიპტაუნის კონვენციით განსაზღვრული ელექტრონული კოდის გაცემისა და IDERA-ს დოკუმენტის რეესტრის წარმოების წესის დამტკიცება;

ბ) "საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ” საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის N205 ბრძანების ამ კანონთან შესაბამისობა;

გ) საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის წესის დამტკიცება.

2. 2026 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს მთავრობამ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით უზრუნველყოს ტექნიკური რეგლამენტის „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 დეკემბრის N325 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2026 წლის 1 აგვისტომდე უზრუნველყოს ამ კანონის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებული საავიაციო ობიექტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის ხელშეწყობისათვის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში საჭირო ცვლილებების განხორციელება.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2026 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**